პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №---

2021 წლის ----ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. **დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია ლ. კაკრიაშვილი

73

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821292100**
თარიღი: **19/10/2021**
პინი: **5421**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის

პირველ მეორე და მესამე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბატონო პაატა,

2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მესამე შვილის შეძენის გამო - 500 ლარი დახმარების სახით მიიღო 77-მა ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო 12-მა ოჯახმა - 700 ლარი, მეექვსე შვილის შეძენის გამო 5 ოჯახს ჩაერიცხა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული -1000 ლარი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა საარსებო შემწეობის მიმღებმა 137 ოჯახმა რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო - 300 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა 40 ოჯახს, თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარებების ძირითადი ნაწილი მიმართული იქნა სოციალურად დაუცველ იმ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100 001-ი ქულის ჩათვლით ფიქსირდება და ღებულობს საარსებო შემწეობას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პირად ანგარიშებზე თანხა ჩაერიცხა 130 სოციალურად დაუცველ ოჯახს თითოეულს 250 ლარი, დიდი სამამულო ომის 5 მონაწილეს, თითოეულს 500 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე 406 პირს- თითოეულს 350 ლარი, სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 30 პირს 350 ლარი. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 25 პირს თითოეულს 350 ლარი, ცერებრალური დამბლით დაავადებულ 128 პირს 500 ლარი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 101 პირს-250 ლარი, ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ 43 პირს -1800 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 56 ბავშვს - -300 ლარი. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 34 პირს 300 ლარი. ფსორიაზით დაავადებულ 51 პირს 200 ლარი. დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს 500 ლარი.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე, დახმარება გაეწია ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებულ **75** ოჯახს, დახარჯული იქნა სულ 52 000 ლარი.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე

დარჩენილია **11** მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოფათ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლებიც დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემობების შედეგად. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა **4** მოქალაქე - 150 ლარი.
აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 460-მა სოციალურად დაუცველმა, მრავალშვილინმა და შშმ ბავშვის ოჯახმა ასევე 100 წელს გადაცილებულმა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანმა დახმარების სახით მიიღო კვების პროდუქტები. დახმარების საერთო ღირებულებამ შეადგინა 20240 ლარი.
1800 ლარი დახმარების სახით მიიღო, 2008 წლის 8 აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს დაღუპული 4 ოჯახის წევრმა,100-100 ლარი მიიღო, 2019-2020 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ,,ჩვენი სახლის''-22 ბენეფიციარმა. 500 ლარი ონკოლოგიური დაავადების მქონე ერთმა და ფენილკეტონურიით დაავადებულმა 5-მა ბავშვმა. სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულმა 5-მა ბავშვმა, წელიწადში ორჯერ 250-250 ლარი, დიდი სამუმულო ომის 5-მა მონაწილემ 500 ლარი, 2020 წლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინიცირების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 479 პირს.
სამედიცინო თანადაფინანსების ფარგლებში, გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევებისათვის
დხმარება გაეწია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 1290 მოქალაქეს, დახმარება სარეაბილოტაციო პროგრამების დაფინანსებისათვის გაეწია აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მატარებელ 15 ბავშვს.

2020 წელს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საგანგებო ბიუჯეტის-საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევისა და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზებისათვის თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი ჯგუფის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საგანგებო ბიუჯეტის - საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 300(სამასი)70 წელს გადაცილებული მზრუნველობამოკლებული პირის დასახმარებლად გამოყოფილი იყო 12000 (თორმეტიათასი) ლარი, თითოეულზე 40 (ორმოცი) ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების შესაძენად, წყალტუბოს მუნიციპალიეტის ტერიტორიაზე არსებულ 17 (ჩვიდმეტი) ამბულატორიის და 126 (ასოცდაექვსი) საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს სადეზინფექციო სამუშაოს ჩასატარებლად 7000 (შვიდიათასი) ლარი ხოლო 400 (ოთხასი) ცალი სტიკერის „დაიცავი დისტანცია"-ს დასამზადებლად 940 (ცხრასორმოცი) ლარი. 0-დან 38000 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე 150 დევნილი ოჯახის კვების პროდუქტებით დასახმარებლად საგანგებო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი იქნას 6600 (ექვსიათასექვსასი) ლარი. (თითოეულზე 44 ლარის ღირებულები კვების პროდუქტი)

2020 წელს პანდემიასთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის მერია მოქმედებდა უწყებათაშორისი საბჭოს მითითებებითა და რეკომენდაციებით, პირველ ეტაპზე დაიხურა ყველა კვების ობიექტი, სალონები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

უფასო სასადილოს ,,სათნოების სახლის'' ბენეფიციარებითვის 15 მარტიდან ამოქმედდა საკვების შინ მიტანის სერვისი (25 ბენეფიციარი) შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებულ იქნა 2020 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში. აღნიშნულ პროგრამა დღესაც გრძელდება;

ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციისა და მოთხოვნების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში ხდებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და საექიმო ამბულატორიების პირბადეებით, თავსაბურავებითა და ხელთათმანებით უზრუნველყოფა, პირბადეები დაურიგდა ადგილობრივ მოსახლობასაც.

მნიშვნელოვანია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გაიხსნა საკარანტინე სივცრცეები. კერძოდ: სასტუმროებში „პლაზა", სასტუმრო „პრომეთე" და სასტუმრო „ლეგენდს სპა რესორტი", სადაც იმყოფებოდნენ უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი თანამოქალაქეები, ასევე ის პირები ვისაც იზოლაცია სჭირდებოდა.

კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პირობებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოქმედება ცხელი ხაზი, ხდებოდა საშვების გაცემა, ცხელი ხაზისა და მერიის ოფიციალური ფეისბუქის გვერდის

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მეშვეობით ყოველდღიურ რეჟიმში 24 საათის განმავლობაში ხდებოდა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციების მიწოდება და კითხვებზე პასუხის გაცემა, მერიაში შინიდან გაუსვლელად წერილის გამოგზავნა ხორციელდებოდა მერიის ელექტრონული ელ. ფოსტის (Tskaltubo1gmail.com)გამოყენება მოსახლეობისთვის ინფორმირება მუნიციპალური სერვისების, სოციალური პროგრამების, ასევე ბიუჯეტის შესახებ ხდებოდა წყალტუბოს ოფიციალური საიტის ,,www tskaltubo gov. ge'' -ის მეშვეობით.

2021 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტლის მდგომარეობით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მესამე შვილის შეძენის გამო 500 ლარი დახმარების სახით მიიღო 34 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 7 ოჯახმა დახმარების სახით მიიღო - 700 ლარი, მეხუთე შვილის შეძენის გამო 4 ოჯახს გაეწია 1000 ლარი, მეექვსე შვილის შეძენის გამო 2 ოჯახს ჩაერიცხა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული -1000 ლარი, მეშვიდე შვილის შეძენის გამო 1000 ლარი გამოეყო 2 ოჯახს, ერთი და მეტი ტყუპი შვილის შეძენის გამო 2 ოჯახს გაეწია დახმარება. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა საარსებო შემწეობის მიმღებმა 112 ოჯახმა, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო - 300 ლარი.

სოციალურად დაუცველ 4 ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით,პირველ და მეორე ახალშობილზე ჩაერიცხა ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სულ 18 ოჯახს, თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარებების ძირითადი ნაწილი მიმართული იქნა სოციალურად დაუცველ იმ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100001-ი ქულის ჩათვლით ფიქსირდება და ღებულობს საარსებო შემწეობას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პირად ანგარიშებზე თანხა ჩაერიცხა 121 სოციალურად დაუცველ ოჯახს თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ 394 პირს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 27 ომის მონაწილეს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 21 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), ცერებრალური დამბლით დაავადებულ 87 პირს (თითოეულს 500 ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 80 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - 250 ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე დამოკიდებულ 39 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -1800 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 41 ბავშვს (თითოეულს -300 ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 39 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ 37 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 250 ლარის ოდენობით),ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის'' 190 ბენეფიციარს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 100-100 ლარი. დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს გაეწია დახმარება (500 ლარის ოდენობით). წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 3 სტუდენტს გაეწია თანადაფინანსება გადასახდელი თანხის 50%-ით. პარკინსონით დაავადებულ 27 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს 200 ლარის ოდენობით), ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე 5 ბავშვს გაეწია დახმარება (თითოეულს 500 ლარი), ონკოლოგიური დაავადების მქონე 3 ბავშვს გაეწია დახმარება (თითოეულს 500 ლარი). დღეგრძელ პირს გაეწია ფულადი დახმარება 1000 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სტიქიის, ხანძრის შედეგად დამდგარი ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, დახმარება გაეწია ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 48 ოჯახს, დახარჯული იქნა 32 700 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 17 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოთ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლებიც დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა

გარემოებების შედეგად, ასევე ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფიათვის.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 776 მოქალაქეს, გაეწია თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევებისათვის. დახმარება გაეწია აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მატარებელ 30 ბავშვს.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ადრესატი:

ლაშა კაკრიაშვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212951**
თარიღი: **22/10/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ლაშა კაკრიაშვილს

ბატონო ლაშა,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს -**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“,** კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II- III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2021 წლის 26 ოქტომბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II- III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II- III კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
ლაშა კაკრიაშვილი